საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

# მებოცვრეობაში გამოსაყენებელი საკვები საშუალებები

## (რეკომენდაციები)

თბილისი

2019

UDC (უაკ)636.92+591.53
გ - 922

რეკომენდაციის ავტორები:
ჯემალ გუგუშვილი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,

ანატოლი გიორგაძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი.

რედაქტორი: ელგუჯა შაფაქიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსმმ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი.

სსმმ აკადემიის გამომცემლობა „აგრო“

ISBN 978-9941-8-1536-2

# მებოცვრეობაში გამოსაყენებული საკვები საშუალებები

ბოცვერი ბალახის მჭამელი ცხოველია. მის ძირითად საკვებს წარმოადგენს მწვანე და წვნიანი მცენარეულობა, უხეში და კონცენტრირებული საკვები (მარცვალნარევი ან კომბინირებული საკვები). ისინი შეიცავენ ცხოველისთვის სასარგებლო ყველა ყუათიან ნივთიერებას.

გარდა მცენარეულისა, ბოცვრის საკვებად გამოიყენება ცხოველური წარმოშობის საკვები (თევზის ქონი, მოხდილი რძე, შრატი ან დო, აგრეთვე ძვლის ფქვილი), საზოგადოებრივი კვების ანარჩენები და სხვადასხვა დანამატები (ცარცი, სუფრის მარილი). ამ უკანასკნელის ულუფაში ჩართვის მიზანია მინერალური ნივთიერებების დანაკლისის შევსება.

ბოცვერი ადვილად შესანახი ცხოველია. საკვების რაციონალურად გამოყენების მიზნით ფერმერმა უნდა იცოდეს ბოცვრის კვების თავისებურებები, მათი სახეობა, შემადგენლობა, ყუათიანობა, ულუფის შედგენა.

ადრე გაზაფხულიდან შემოდგომამდე ბოცვრის ძირითად საკვებად სასურველია გამოვიყენოთ მწვანე საკვები, ბუნებრივი და ნათესი ბალახის სახით. მწვანე საკვებით ბოცვერი სრულად იკმაყოფილებს მოთხოვნილებას სრულფასოვან ცილებზე, ნახშირწყლებზე, ვიტამინებზე და მინერალურ ნივთიერებებზე. მწვანე საკვებს ცხოველი ადვილად ინელებს, რაც განპირობებულია იმით, რომ მასში მცირე რაოდენობით მოიპოვება ძნელად მოსანელებელი უჯრედანა. მწვანე სახის საკვებიდან ბოცვრის საკვებად შეიძლება გამოვიყენოთ შვრია, ცერცველა, სამყურა, იონჯა, ესპარცეტი და სხვა. რაც შეეხება მწვანე მასის საკვებად გამოყენებას, ზაფხულის პერიოში აუცილებელია ბალახის ჩრდილში გაშრობა არანაკლებ 24-საათისა, ნედლი ან სველი ბალახის საკვებად გამოყენების შემთხვევაში ბოცვერს შეიძლება დაემართოს კვებით ინტოქსიკაცია, ან კუჭ-ნაწლავის ტრაქტის აშლილობა.

უხეში სახის საკვებს შორის უპირველესი ადგილი უკავია თივას, რომელიც ზამთრის პერიოდში ბოცვრის ძირითადი საკვებია. იგი მოთიბული და დაპრესილი უნდა იყოს აგროვადების მკაცრი დაცვით. თივა სრულად უზრუნველყოფს ბოცვერს საჭირო ცილებით, ვიტამინებით, მინერალური და სხვა ნივთიერებებით. უხეშ საკვებად ბოცვრისათვის ასევე შეიძლება გამოყენებული იქნას ნამჯა და სიმინდის ფუჩეჩი..

წვნიანი სახის საკვებ-საშუალებათა შორის გამოიყენება სტაფილო, ჭარხალი, მიწავაშლა და კომბოსტო. წვნიანი საკვები ავსებს ვიტამინების დანაკლისს, ხელს უწყობს კუჭნაწლავის მოქმედებას და საკვების უკეთ მონელებას. წვნიანი საკვები ბოცვერს უნდა მიეცეს ზომიერად, რადგან გადაჭარბებული რაოდენობით მიცემა იწვევს კუჭ-ნაწლავის აშლილობას და ინვაზიური დაავადების გავრცელებას. კონცენტრირებულ საკვებთა შორის ძირითადად გამოიყენება მარცვლეული – ქერი,

შვრია და სიმინდი. გარდა ამისა მცირე რაოდენობით შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვა სახის კოპტონები. ქატო და კომბისაკვები. მაღალხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად აუცილებელია ბოცვრის ულუფაში შევიტანოთ 40-45% კონცენტრირებული საკვები ყუათიანობის მიხედვით. კომბისაკვებით კვების დროს ბოცვრის რაციონში სასურველია დაემატოს თივა, მწვანე ბალახი და წავნიანი საკვები. ცხოველური წარმოშობის საკვებში შედის რძე, მოხდილი ან მოუხდელი შრატი. ძვალ-ხორცის, სისხლის და თევზის ფხვნილი მაღალყუათიანი საკვებია და შეიცავს 20-50 % პროტეინს. რძე მოზარდისათვის საუკეთესო საკვები საშუალებაა. რძით ნაკვები ბაჭიები კარგად ვითარდებიან, ცხოველური საკვებით კვება დადებით გავლენას ახდენს ცხოველის ტყავ-ბეწვეულის ხარისხზე.

მინერალური სახის საკვებიდან ბოცვრის საკვებად ძირითადად გამოიყენება სუფრის მარილი, ცარცი და ძვლის ფქვილი. ბოცვერი დიდი რაოდენობით საჭიროებს მინერალურ ნივთიერებებს მაკეობის პერიოდში. სუფრის მარილი საურველია მიეცეს ქვამარილის ნატეხის სახით, ასევე წყალში გახსნილი. ძვლის ფქვილის სახით ბოცვერი ღებულობს კალციუმს და ფოსფორს, რომელსაც ორგანიზმი იყენებს ძვლოვანი სისტემის გასამაგრებლად. ზრდასრულ ცხოველს სუფრის მარილი დღე-ღამეში უნდა მიეცეს 0,5-1,0 გრ რაოდენობით. კვების ანარჩენების სახის საკვებს მიეკუთვნება პურის ნატეხები, კარტოფილის ნარჩენები და სხვა. საკვების ანარჩენები არ უნდა იყოს დამუშავებული და დაობებული. ზრდასრული ცხოველების ულუფაში საკვების ანარჩენების რაოდენობა უნდა შეადგენდეს საშუალოდ 200 გ-ს დღე-ღამეში.

მებოცვრეობაში წარმატებით გამოიყენება სრულფასოვანი გრანულირებული საკვები, რომელიც დამზადებულია მცენარეული წარმოშობის ნედლეულით. იგი შეიცავს ყველა აუცილებელ ნივთიერებას და აკმაყოფილებს ბოცვრის მოთხოვნას საზრდო ნივთიერებებზე. მის შემადგენლობაში შედის პრემიქსი, ხორბალი, სოიოს შროტი, იონჯის ფქვილი, მცენარეული ზეთი და სხვა მცენარეული წარმოშობის ნედლეული, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს და ევროკავშირის კანონმდებლობით. გარდა ამისა იგი შეიცავს დაახლოებით 15-17% მშრალ პროტეინს, ვიტამინებს, ამინომჟავებს, მიკრო და მაკროელემენტებს. გრანულირებული საკვებს იყენებენ იმ შემთხვევაში, როცა არ არის ბუნებრივი საკვები საშუალებები და როდესაც ნაკლები დანახარჯებით საჭიროა ბოცვრის მაქსიმალური წონამატის მიღება.

გრანულირებული საკვებით ბოცვრის კვება მისაღებია ფერმაში შრომითი ხარჯების შესამსუბუქებლად და დანაკარგის მინიმალურამდე შესამცირებლად. ამ საკვების საბაზრო ფასი მერყეობს 0,9-დან 1,2 ლარამდე. ხშირად ფერმერები ეკონომიის მიზნით თავად ამზადებენ კომბინირებულ საკვებს, რომელიც 20%-ით უმცირებთ ხარჯებს. ასეთი საკვების ღირებულება 0,7-0,9 ლარს შეადგენს.

მოზარდი ბაჭიის კვების დღიური ნორმა შეადგენს: თივა 50-200 გრ; წვნიანი საკვები 150-300 გრ; კონცენტრირებული საკვების რაოდენობა 30-50 გრ.

ბოცვრის სასმელად გამოიყენება სუფთა წყალი, რომლის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 18-20 $C^0$. წყლის მიცემა რეკომენდებულია საკვების მიცემამდე.

ზრდასრული ცხოველისათვის წყლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დღე-ღამეში საჭიროა 2,0 ლტ სუფთა წყალი, მოზარდისათვის 1,0-1,5 ლ.

წლის განმავლობაში საკვების მოთხოვნილების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:

– მაკეობის, ლაქტაციის პერიოდი;
– მოზარდის გამოზრდის კალენდარული დრო;
– ზამთარ-ზაფხულის პერიოდის ხანგრძლივობა;
– მოგებული ბაჭიების რაოდენობა;
– დედალი ბოცვრის მიერ ბაჭიების გამოზრდის პერიოდი ასხლეტიდან რეალიზაციამდე;
– დრო მოზარდის რეალიზაციის (დაკვლა), ან საკუთარი სულადობის აღწარმოებისათვის;
– ბოცვრის ცოცხალი მასა;
– კვების ულუფის რაოდენობა ზაფხულისა და ზამთრის პერიოდში.